

დანართი N1: პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება

მუხლი 1. დებულების მიზანი

ამ დებულების მიზანია სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულმა ცენტრმა“, ქირურგიის ეროვნული ცენტრის კლინიკა ახალ სიცოცხლემ და ბათუმის კლინიკამ (შემდგომ - ორგანიზაცია) პერსონალური მონაცემების დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცვა.

მუხლი 2. დებულების მოქმედების სფერო

1. ამ დებულების მოქმედება ვრცელდება ორგანიზაციაში სამედიცინო, ადმინისტრაციული, სასწავლო, კვლევითი საქმიანობის, კომერციული მომსახურების გაწევის პროცესში მონაცემთა ავტომატური საშუალებებით დამუშავებასა და ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე, იმ მონაცემთა არაავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შესატანად მუშავდება.
2. ამ დებულების მოქმედება ვრცელდება ორგანიზაციაში დასაქმებულ პირებზე, მომხმარებლებზე, ორგანიზაციასთან სახელშეკრულებო ვალდებულებაში მყოფ პირებზე, პრაქტიკანტებზე, სტაჟიორებზე, ნებისმიერ პირზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია ორგანიზაციის საქმიანობასთან ან/და მომსახურებასთან.

მუხლი 3. ტერმინთა მნიშვნელობა

ამ დებულების მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 4. მონაცემთა დამუშავების პრინციპები

1. ორგანიზაციაში მონაცემთა დამუშავება ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით:
 - ა) კანონიერების პრინციპი - მონაცემები მუშავდება კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულაპავად.
 - ბ) ინფორმირებულობის პრინციპი - მონაცემები მოიპოვება მხოლოდ ორგანიზაციის მომსახურებასთან დაკავშირებული კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და

ლეგიტიმური მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;

გ) პროპორციულობის პრინციპი - ორგანიზაციის მომსახურების/საქმიანობის პროცესში მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მომსახურებისთვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ორგანიზაცია ამუშავებს მხოლოდ იმ მონაცემებს, რომელიც არის მომსახურების ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება;

დ) მონაცემების სისწორისა და სიზუსტის პრინციპი - ორგანიზაციაში დამუშავებული მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, ორგანიზაცია უზრუნველყოფს არაზუსტი მონაცემების გასწორებას, წაშლას ან განადგურებას გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

ე) გონივრულობის პრინციპი - მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ორგანიზაცია უზრუნველყოფს მათ წაშლას, განადგურებას, ან დეპერსონალიზებული ფორმით შენახვას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან/და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

ვ) მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპი - მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავების პროცესში ორგანიზაცია უზრუნველყოფს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გატარებას, რომლებიც ქმნის სათანადო გარანტიებს მონაცემთა დასაცავად, მათ შორის, უზრუნველყოფს მონაცემთა უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან დაცვას.

2. თუ ორგანიზაციაში მონაცემები უნდა დამუშავდეს მათი შეგროვების/მოპოვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით და დამუშავება მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან კანონის საფუძველზე არ ხორციელდება, მონაცემთა შეგროვების/მოპოვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა დამუშავების საკითხის გადაწყვეტისას ორგანიზაცია გაითვალისწინებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნებს.

3. მონაცემთა შემდგომი დამუშავება საჯარო ინტერესების შესაბამისად არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებლად არ მიიჩნევა. ამ პუნქტით გათვალისწინებული მიზნით მონაცემთა ხანგრძლივად შენახვა დასაშვებია, თუ მონაცემთა სუბიექტის უფლებების დასაცავად მიღებულია უსაფრთხოების სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები.

მუხლი 5. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

- ა) მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
- ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- გ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა ორგანიზაციის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- ე) კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახსადა;
- ვ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღვეთის, ჰუმანიტარული კრიზისების, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად;
- ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოშეიბის, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვის, მათ შორის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიზნებისთვის;
- ი) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ორგანიზაციის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
- კ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად, მისთვის მომსახურების გასაწევად.

მუხლი 6. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

- ა) მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა წერილობითი თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე;
- ბ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება კანონით და მათი დამუშავება აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომლის შეფასებას ახდენს ორგანიზაცია კონკრეტულ შემთხვევაში;
- გ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ აქვს, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე განაცხადოს თანხმობა;
- დ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრევენციული, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პალიატიური მზრუნველობის, მომსახურების, სამედიცინო მოწყობილობების და პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების მიზნით ან ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტთან დადებული ხელშეკრულების (თუ ამ მონაცემებს ამუშავებს პირი, რომელსაც პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ეკისრება) შესაბამისად;
- ე) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სფეროში, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემისა და მომსახურების მართვისთვის მონაცემთა სუბიექტის კონკრეტული უფლებების განსახორციელებლად;
- ვ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;
- ზ) მონაცემთა სუბიექტმა გამოყენების აშკარა აკრძალვის დათქმის გარეშე საჯარო გახადა თავისი მონაცემები;
- თ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- ი) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში აუცილებელია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება საჯარო ინტერესებისთვის არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის, თუ კანონი ითვალისწინებს სათანადო და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და

ინტერესების დასაცავად. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების ეს საფუძველი არ გამოიყენება, თუკი სპეციალური კანონით პირდაპირ გათვალისწინებულია ამ მონაცემთა დამუშავების შეზღუდვა დამატებითი და განსხვავებული პირობებით;

3) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების განხორციელების მიზნით;

მუხლი 7. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესი და პირობები

1. ორგანიზაცია არასრულწლოვანის შესახებ მონაცემებს ამუშავებს მისი თანხმობის საფუძველზე, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია.

2. ორგანიზაცია 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემებს ამუშავებს მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, მათ შორის, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანისა და მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

3. არასრულწლოვანის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. ორგანიზაცია არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებისას ხელმძღვანელობს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებით.

5. არასრულწლოვანის, მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მონაცემთა დამუშავება საფრთხეს უქმნის ან ზიანს აყენებს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს.

მუხლი 8. გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემთა დაცვა

1. მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია:

ა) ამ დებულების მე-5 და მე-6 მუხლებით განსაზღვრული საფუძვლებით;

ბ) თუ ამ მონაცემთა დამუშავება აკრძალული არ არის გარდაცვლილის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის მიერ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა სუბიექტმა გარდაცვალებამდე წერილობით აკრძალა მისი გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა დამუშავება);

გ) თუ მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალებიდან გასულია 30 წელი;

დ) თუ ეს აუცილებელია მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლების განსახორციელებლად.

2. გარდაცვლილი პირის სახელის, გვარის, სქესის, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების დამუშავება დასაშვებია, მიუხედავად ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებებისა და საფუძვლების არსებობისა.

მუხლი 9. ვიდეომონიტორინგის განხორციელება

ორგანიზაციაში ვიდეომონიტორინგის განხორცილება რეგულირდება ვიდეომონიტორინგის წესით, რომელიც განსაზღვრავს ვიდეომონიტორინგის მიზანსა და მოცულობას, ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობას და ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადას, ვიდეოჩანაწერზე წვდომის, მისი შენახვისა და განადგურების წესებსა და პირობებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მექანიზმებს.

მუხლი 10. აუდიომონიტორინგის განხორციელება

ორგანიზაციაში აუდიომონიტორინგის განხორცილება რეგულირდება აუდიომონიტორინგის წესით, რომელიც განსაზღვრავს აუდიომონიტორინგის მიზანსა და მოცულობას, აუდიომონიტორინგის ხანგრძლივობას და აუდიოჩანაწერის შენახვის ვადას, აუდიოჩანაწერზე წვდომის, მისი შენახვისა და განადგურების წესებსა და პირობებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის ორგანიზაციულ-ტექნიკურს მექანიზმებს.

მუხლი 11. პირდაპირი მარკეტინგი

1. პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით.

2. მონაცემთა სუბიექტის სახელის, გვარის, მისამართის, ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის გარდა, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით სხვა მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა.

3. მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მიღებამდე და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას ორგანიზაციის შესაბამისმა დასაქმებულმა პირმა მონაცემთა სუბიექტს ნათლად, მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე უნდა განუმარტოს მის მიერ თანხმობის ნებისმიერ დროს გამოხმობის უფლება და ამ უფლების განხორციელების მექანიზმი/წესი. ამ ინფორმაციის მიწოდება შეიძლება განხორციელდეს წერილობითი ფორმით.

4. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ელექტრონულ ფოსტაზე გააგზავნოს შეტყობინება და მოითხოვოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა. ორგანიზაცია შეწყვეტის პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავებას მონაცემთა

სუბიექტის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა. ორგანიზაციის შესაბამის სამსახურს ევისრება მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობის შესახებ ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება.

5. მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობა უფასოა.

6. ორგანიზაციის შესაბამისი სამსახური ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მიერ მის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მიცემისა და თანხმობის გამოხმობის დრო და ფაქტი აღრიცხოს და შეინახოს პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების ვადით და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში.

მუხლი 12. მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ორგანიზაციას მოსთხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მის შესახებ იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;

ბ) მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ;

გ) მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

დ) მონაცემთა სუბიექტის ამ დებულებით გათვალისწინებული უფლებების შესახებ;

ე) მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;

ვ) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;

ზ) ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს როგორც წერილობითი განცხადებით, ასევე ელექტრონული ფორმით (სს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტულ და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრს“ და ბათუმის კლინიკას ელ. ფოსტაზე-Info.Surgery@aversi.ge; ქირურგიის ეროვნული ცენტრის კლინიკა ახალ სიცოცხლეს ელ. ფოსტაზე-Info.Nlife@aversi.ge). განცხადება ეგზავნება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელიც ორგანიზაციაში კოორდინაციას უწევს განცხადების განხილვას.

3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი რეკომენდაციასთან ერთად განცხადებას უგზავნის მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიას, რომელიც განცხადებას განიხილავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ამ დებულებით დადგენილი წესით.
4. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ეს ვადა მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა.
5. ორგანიზაცია უფლებამოსილია მონაცემთა სუბიექტს საჭიროებისამებრ მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის გაცემა კანონს ეწინააღმდეგება.
6. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თავად აირჩიოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ფორმა. თუ მონაცემთა სუბიექტი სხვა ფორმით არ მოითხოვს ინფორმაციის მიწოდებას, მას ინფორმაცია მიეწოდება იმავე ფორმით, რომლითაც მოხდა ინფორმაციის მოთხოვნა.

მუხლი 13. მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ორგანიზაციაში გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს როგორც წერილობითი განცხადებით, ასევე ელექტრონული ფორმით (სს „პერისტავის სახელობის ექსპერიმენტულ და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის“ და ბათუმის კლინიკას ელ. ფოსტაზე-Info.Surgery@aversi.ge; ქირურგიის ეროვნული ცენტრის კლინიკა ახალ სიცოცხლეს ელ. ფოსტაზე-Info.Nlife@aversi.ge). განცხადება ეგზავნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელიც ორგანიზაციაში კოორდინაციას უწევს განცხადების განხილვას.
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი რეკომენდაციასთან ერთად განცხადებას უგზავნის მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიას, რომელიც განცხადებას

განიხილავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ამ დებულებით დადგენილი წესით.

4. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს ან/და მიიღოს მათი ასლები მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არის დადგენილი.
 5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა.
 6. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს ან/და მიიღოს მათი ასლები იმ ფორმით, რომლითაც დაცულია ორგანიზაციაში. მონაცემთა სუბიექტს აგრეთვე უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა ასლების მიწოდება განსხვავებული ფორმით იმ შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია.
- მუხლი 14. მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება**
1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ორგანიზაციას მოსთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება.
 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს როგორც წერილობითი განცხადებით, ასევე ელექტრონული ფორმით (სს „პ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტულ და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრს“ და ბათუმის კლინიკას ელ. ფოსტაზე-Info.Surgery@aversi.ge; ქირურგიის ეროვნული ცენტრის კლინიკა ახალ სიცოცხლეს ელ. ფოსტაზე-Info.Nlife@aversi.ge). განცხადება ეგზავნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელიც ორგანიზაციაში კოორდინაციას უწევს მის განხილვას.
 3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი განცხადებას რეკომენდაციასთან ერთად უგზავნის მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიას, რომელიც განცხადებას განიხილავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ამ დებულებით დადგენილი წესით.
 4. მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის კომისია არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორებას, განახლებას ან/და შევსებას და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდებას.

5. მონაცემთა სუბიექტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი) მონაცემები უნდა გასწორდეს, განახლდეს ან/და შეივსოს ან მონაცემთა სუბიექტს ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.
6. თუ ორგანიზაციაში დასაქმებული პირი მონაცემთა სუბიექტისგან დამოუკიდებლად გამოავლენს, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები მცდარი, არაზუსტი ან/და არასრულია, მან უნდა აცნობოს საკუთარი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რომელიც ინფორმაციას აწვდის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი მიმართავს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიას, რომელიც უზრუნველყოფს გონივრულ ვადაში უნდა გაასწოროს, განაახლოს ან/და შეავსოს მონაცემები, რის შემდეგ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი მონაცემთა გასწორებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამის შესახებ აცნობოს მონაცემთა სუბიექტს.
7. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს მონაცემთა სუბიექტისთვის შეტყობინების ვალდებულება არ წარმოეშობა, თუ მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება ტექნიკური შეცდომის გასწორებას/აღმოფხვრას უკავშირდება.
8. თუ არსებობს ობიექტური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ მუხლით დადგენილ ვადაში მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულების შესრულებას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა ცვლილების განხორციელების შესახებ ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს მასთან პირველი კომუნიკაციის განხორციელებისთანავე.
9. მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის კომისია ვალდებულია ყველა მონაცემთა მიმღებს, აგრეთვე ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც თავად გადასცა მონაცემები, შეატყობინოს მონაცემთა განახლებისა და შევსების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ან მონაცემთა მიმღებების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო.
10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული პირები შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ ვალდებული არიან გონივრულ ვადაში გაასწორონ, განაახლონ ან/და შეავსონ მონაცემები.

მუხლი 15. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ორგანიზაციას მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს როგორც წერილობითი განცხადებით, ასევე ელექტრონული ფორმით (სს „პ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტულ და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრს“ და ბათუმის კლინიკას ელ. ფოსტაზე-Info.Surgery@aversi.ge; ქირურგიის ეროვნული ცენტრის კლინიკა ახალ სიცოცხლეს ელ. ფოსტაზე-Info.Nlife@aversi.ge). შეტყობინება ეგზავნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელიც ორგანიზაციაში კოორდინაციას უწევს განცხადების განხილვას.
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი რეკომენდაციასთან ერთად განცხადებას უგზავნის მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიას, რომელიც განცხადებას განიხილავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ამ დებულებით დადგენილი წესით.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი) უნდა შეწყდეს მონაცემთა დამუშავება ან/და მონაცემები უნდა წაიშალოს ან განადგურდეს ან მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.
3. მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის კომისიას შეუძლია უარი თქვას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ:
- ა) არსებობს მონაცემთა დამუშავების ამ დებულების მე-5 ან მე-6 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი;
- ბ) მონაცემები მუშავდება სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთების მიზნით;
- გ) მონაცემები მუშავდება კანონით გათვალისწინებული საჯარო ინტერესებისთვის არქივირების მიზნით, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის და მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლების განხორციელება შეუძლებელს გახდის ან მნიშვნელოვნად დააზიანებს დამუშავების მიზნების მიღწევას.
4. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ ინფორმაცია მიიღოს შესაბამისი მოქმედების განხორციელებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ინფორმაციის მიწოდებას ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
5. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მის შესახებ მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმით დამუშავების შემთხვევაში დამატებით ორგანიზაციას მოსთხოვოს მონაცემთა ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან/და მონაცემთა ასლების ან მონაცემებთან დამაკავშირებელი ნებისმიერი ინტერნეტბმულის წაშლა. ამ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს როგორც წერილობითი განცხადებით, ასევე ელექტრონული ფორმით (სს „პ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტულ და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრს“ და ბათუმის კლინიკას ელ. ფოსტაზე-Info.Surgery@aversi.ge; ქირურგიის ეროვნული ცენტრის

კლინიკა ახალ სიცოცხლეს ელ. ფოსტაზე-Info.Nlife@aversi.ge). განცხადება ეგზავნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელიც ორგანიზაციაში კოორდინაციას უწევს განცხადების განხილვას.

6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი განცხადებას რეკომენდაციასთან ერთად უგზავნის მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიას, რომელიც განცხადებას განიხილავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ამ დებულებით დადგენილი წესით.
7. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისია ვალდებულია ყველა მონაცემთა მიმღებს, აგრეთვე ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც ორგანიზაციაში გადასცა მონაცემები, შეატყობინოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ან მონაცემთა მიმღებების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დაწარჯების გამო.
8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული პირები შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ ვალდებული არიან შეწყვიტონ მონაცემთა დამუშავება და წაშალონ ან გაანადგურონ მონაცემები.

მუხლი 16. მონაცემთა დაბლოკის უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ორგანიზაციას მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:
 - ა) მონაცემთა სუბიექტი სადაცოს ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს;
 - ბ) მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა მონაცემთა სუბიექტი ეწინააღმდეგება მათ წაშლას და ითხოვს მონაცემთა დაბლოკას;
 - გ) მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად;
 - დ) მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა;
 - ე) არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს როგორც წერილობითი განცხადებით, ასევე ელექტრონული ფორმით (სს „კერისთავის სახელობის ექსპერიმენტულ და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრს“ და ბათუმის კლინიკას ელ. ფოსტაზე-Info.Surgery@aversi.ge; ქირურგიის ეროვნული ცენტრის კლინიკა ახალ სიცოცხლეს ელ. ფოსტაზე-Info.Nlife@aversi.ge). განცხადება ეგზავნება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელიც ორგანიზაციაში კოორდინაციას უწევს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის განხილვას.

3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი განცხადებას უგზავნის მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიას, რომელიც განცხადებას რეკომენდაციასთან ერთად განიხილავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ამ დებულებით დადგენილი წესით.
4. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა დაკმაყოფილდება და მონაცემები დაიბლოკება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა დაბლოკვამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:
 - ა) ორგანიზაციის მიერ კანონით ან/და კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;
 - ბ) კანონის შესაბამისად საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით იმართვისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას;
 - გ) იმართვის ან მესამე პირის ლეგიტიმურ ინტერესებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის, განსაკუთრებით არასრულწლოვანის, უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
 - დ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას.
5. მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის კომისია უფლებამოსილია მიღოს გადაწყვეტილება მონაცემთა განბლოკვის შესახებ, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.
6. მონაცემები დაიბლოკება მათი დაბლოკვის მიზეზის არსებობის ვადით და ამ ვადის განმავლობაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილება თან დაერთვება შესაბამის მონაცემებს.
7. მონაცემთა სუბიექტის უფლება აქვს, მიღოს ინფორმაცია მონაცემთა დაბლოკვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ან მონაცემთა დაბლოკვაზე უარის თქმის საფუძვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღისა.
8. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მონაცემთა დაბლოკვის შემთხვევაში მონაცემები, გარდა მათი შენახვისა, შესაძლოა სხვაგვარად დამუშავდეს შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) მონაცემთა სუბიექტის თანხმობით;
 - ბ) სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასასაბუთებლად;

- გ) ორგანიზაციის ან მესამე პირის ინტერესების დასაცავად;
დ) კანონის შესაბამისად, საჯარო ინტერესის დასაცავად.

მუხლი 17. მონაცემთა გადატანის უფლება

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით მონაცემთა ავტომატური დამუშავების შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ორგანიზაციისგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიღლოს მის მიერ მიწოდებული მონაცემები ან მოითხოვოს ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს როგორც წერილობითი განცხადებით, ასევე ელექტრონული ფორმით (სს „კ-ერისთავის სახელობის ექსპერიმენტულ და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრს“ და ბათუმის კლინიკას ელ. ფოსტაზე-Info.Surgery@aversi.ge; ქირურგიის ეროვნული ცენტრის კლინიკა ახალ სიცოცხლეს ელ. ფოსტაზე-Info.Nlife@aversi.ge). განცხადება ეგზავნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელიც ორგანიზაციაში კოორდინაციას უწევს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის განხილვას.
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი განცხადებას რეკომენდაციასთან ერთად უგზავნის მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიას, რომელიც განცხადებას განიხილავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ამ დებულებით დადგენილი წესით.
4. მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მონაცემთა სუბიექტს აცნობებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

მუხლი 18. ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული უფლებები

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფაილინგის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება:
 - ა) ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის აშვარად გამოხატულ თანხმობას;
 - ბ) აუცილებელია მონაცემთა სუბიექტსა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად;

გ) გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს როგორც წერილობითი განცხადებით, ასევე ელექტრონული ფორმით (სს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტულ და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრს“ და ბათუმის კლინიკას ელ. ფოსტაზე-Info.Surgery@aversi.ge; ქირურგიის ეროვნული ცენტრის კლინიკა ახალ სიცოცხლეს ელ. ფოსტაზე-Info.Nlife@aversi.ge). განცხადება ეგზავნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელიც ორგანიზაციაში კოორდინაციას უწევს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის განხილვას.
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი განცხადებას რეკომენდაციასთან ერთად უგზავნის მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიას, რომელიც განცხადების განხილვის პროცესში ხელმძღვანელობს მონაცემთა სუბიექტის უფლებების, თავისუფლებისა და ლეგიტიმური ინტერესების დაცვის ინტერესებით.
4. მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის კომისია ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს განიხილავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ამ დებულების მე- მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 19. თანხმობის გამოხმობის უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე უსასყიდლოდ გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. ამ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წარშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს.
2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თანხმობა გამოიხმოს იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა განაცხადა. მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს როგორც წერილობითი განცხადებით, ასევე ელექტრონული ფორმით (სს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტულ და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრს“ და ბათუმის კლინიკას ელ. ფოსტაზე-Info.Surgery@aversi.ge; ქირურგიის ეროვნული ცენტრის კლინიკა ახალ სიცოცხლეს ელ. ფოსტაზე-Info.Nlife@aversi.ge). განცხადება ეგზავნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელიც ორგანიზაციაში კოორდინაციას უწევს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის განხილვას.
3. მონაცემთა სუბიექტს თანხმობის გამოხმობამდე უფლება აქვს, ორგანიზაციას მოსთხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ, რომლის თაობაზე მონაცემთა სუბიექტს ინფორმაციას აწვდის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. იმ შემთხვევაში, თუ ეს მონაცემთა სუბიექტისთვის წარმოშობს სამართლებრივ, ფინანსურ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, ორგანიზაციაში

დასაქმებული პირი ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელიც მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობამდე მას მიაწვდის ინფორმაციას თანხმობის გამოხმობის შედეგების შესახებ.

4. მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის დოკუმენტით მიღების შემთხვევაში, რომელიც აგრეთვე სხვა საკითხებს შეეხება, ორგანიზაციის ყველა სტრუქტურული ერთეული ვალდებულია ამ დოკუმენტში თანხმობის შესახებ ტექსტი ჩამოაყალიბოს მკაფიო, მარტივი და გასაგები ენით და გამოყოს იგი დოკუმენტის სხვა ნაწილებისგან და მასთან დაკაშირებით კონსულტაცია გაიაროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან.
5. თუ მონაცემთა სუბიექტის თანხმობა გაცემულია ხელშეკრულების ან მომსახურების ფარგლებში, თანხმობის ნებაყოფლობითობის განსაზღვრისას, სხვა გარემოებებთან ერთად, შეფასდება თუ არის ეს თანხმობა ხელშეკრულების ან მომსახურების აუცილებელი პირობა და თუ შეიძლება ამ თანხმობის გარეშე შესაბამისი მომსახურების მიღება/ხელშეკრულების დადება.
6. ორგანიზაცია მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეწყვეტს მონაცემთა დამუშავებას და წაშლის ან გაანადგურებს დამუშავებულ მონაცემებს თუ ამ დებულებითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
7. მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობა არ იწვევს თანხმობის გამოხმობამდე და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

მუხლი 20. მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა

1. მონაცემთა სუბიექტის ამ დებულებით გათვალისწინებული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირდვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ეს არის აუცილებელი და პროპორციული ზომა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამ უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:
 - ა) ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ინტერესებს;
 - ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
 - გ) დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას;
 - დ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
 - ე) მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული, მათ შორის, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;

- 3) ამ მუხლით განსაზღვრულ სფეროებში მარეგულირებელი ან/და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელებას;
- ზ) მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას;
- თ) სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას;
- ი) სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვასა და განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიის გადაწყვეტილება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა უნდა აცნობოს მონაცემთა სუბიექტს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინფორმაციის მიწოდება საფრთხეს შეუქმნის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის (მიზნების) მიღწევას.
4. მონაცემთა სუბიექტის ამ დებულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელდება უსასყიდლოდ.
5. მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნის არაგონივრული სიხშირით წარდგენის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის კომისია უფლებამოსილია უარი განაცხადოს მის შესრულებაზე, რის შესახებაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მონაცემთა სუბიექტს და განუმარტოს გასაჩივრების უფლების შესახებ.

მუხლი 21. მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის წესი

1. მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით ორგანიზაციაში შექმნილია მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
2. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისია შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და 3 წევრისგან.
3. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიის საქმიანობაში, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ხმის უფლების გარეშე, შესაძლებელია ჩაერთოს ორგანიზაციაში დასაქმებული პირი განსახილველი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით.

4. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიის წევრი ვალდებულია განცხადების განხილვამდე განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს მონაცემთა სუბიექტის განცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიუკერძოებლად მიღებაში.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება.
6. თუ მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიისათვის ცნობილი გახდება განცხადების განხილვისას, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიის ამ წევრის მიერ განცხადების შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.
7. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
8. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისია გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრის საფუძველზე; გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.
9. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისია გადაწყვეტილებას იღებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად ამ დებულებით დადგენილი წესით.
10. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული საკითხების განხილვა უნდა იყოს ობიექტური, სამართლიანი და მიუკერძოებელი.
11. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისია უფლებამოსილია, ამ დებულებით გათვალისწინებული განცხადება განიხილოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.
12. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
13. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისია ვალდებულია საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცირის მიერ განაცხადების გადაგზავნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განცხადებასთან მიმართებით, რომელიც ეხება:
 - ა) მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღებას;
 - ბ) მონაცემთა გაცნობასა და ასლის მიღებას;

- გ) მონაცემთა გასწორებას, განახლებასა და შევსებას;
- დ) მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას;
- ე) მონაცემთა გადატანას;
- ვ) ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებას;
- ზ) თანხმობის გამოხმობას.
- თ) მონაცემთა სუბიექტის წერილობით ინფორმირებას მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში;
14. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისია ვალდებულია საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცირის მიერ განაცხადების გადაგზავნიდან 1 სამუშაო დღის ვადაში განცხადებასთან მიმართებით, რომელიც ეხება მონაცემთა დაბლოკვას.
15. კომისია უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილებით 5 სამუშაო დღით გააგრძელოს განცხადების განხილვა, რომელიც ეხება:
- ა) მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღებას;
- ბ) მონაცემთა გაცნობასა და ასლის მიღებას;
- გ) მონაცემთა გადატანას;
- დ) ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებას;
- ე) მონაცემთა სუბიექტის წერილობით ინფორმირებას მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში;

მუხლი 22. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს.

მუხლი 23. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში

1. მონაცემების უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან შეგროვებისას ორგანიზაციაში დასაქმებული პირი ვალდებულია მონაცემთა შეგროვებამდე ან შეგროვების დაწყებისთანავე მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ორგანიზაციის დასახელება, საკუთარი ვინაობა და ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაცია;
- ბ) მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;
- გ) მონაცემთა მიწოდების სავალდებულობის შესახებ, ხოლო თუ მონაცემთა მიწოდება სავალდებულოა - მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგების თაობაზე, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მონაცემთა შეგროვება/მოპოვება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების დასადებად (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში);
- დ) ორგანიზაციის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების შესახებ, თუ მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად;
- ე) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცირის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;
- ვ) მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ზ) მონაცემთა დაგეგმილი გადაცემისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შესახებ, მათ შორის, მონაცემთა გადაცემაზე ნებართვის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ ორგანიზაცია გეგმავს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემას;
- თ) მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
- ი) მონაცემთა სუბიექტის ამ დებულებით გათვალისწინებული უფლებების შესახებ.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის, თუ არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ მონაცემთა სუბიექტი უკვე ფლობს ამ ინფორმაციას.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესი არ მოქმედებს, თუ სპეციალური კანონმდებლობა ადგენს მონაცემთა სუბიექტისგან მონაცემების შეგროვებისას მისი ინფორმირების განსხვავებულ წესს და ეს წესი არ იწვევს მონაცემთა სუბიექტის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას. ამ შემთხვევაში სუბიექტის წერილობითი მოთხოვნის არსებობისას ორგანიზაცია ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, თუ არ არსებობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის საფუძვლები. ამ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოთ როგორც წერილობითი განცხადებით, ასევე ელექტრონული ფორმით (სს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტულ და კლინიკური ქირურგის ეროვნულ ცენტრს“ და ბათუმის კლინიკას ელ. ფოსტაზე-Info.Surgery@aversi.ge;

ქირურგიის ეროვნული ცენტრის კლინიკა ახალ სიცოცხლეს ელ. ფოსტაზე-Info.Nlife@aversi.ge). განცხადება ეგზავნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელიც ორგანიზაციაში კოორდინაციას უწევს მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი განცხადებას რეკომენდაციასთან ერთად უგზავნის მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის კომისიას, რომელიც განცხადებას განიხილავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ამ დებულებით დადგენილი წესით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა.
5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს, განსაკუთრებით – თუ მონაცემთა სუბიექტი არასრულწლოვანია, მიაწოდოს მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე. ამ ინფორმაციის მიწოდება შეიძლება ზეპირად ან წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა სუბიექტი ინფორმაციის წერილობით მიღებას ითხოვს.

მუხლი 24. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება, თუ მონაცემების შეგროვება უშუალოდ მისგან არ ხდება

1. თუ მონაცემების შეგროვება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან არ ხდება, ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეული, რომელიც აგროვებს ინფორმაციას, ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ამ დებულების 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია, აგრეთვე აცნობოს, მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება და ამ მონაცემთა მოპოვების წყარო, მათ შორის, მოპოვებულ იქნა თუ არა მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს გონივრულ ვადაში, ან, თუ მონაცემები გამოიყენება მონაცემთა სუბიექტთან დასაკავშირებლად, მასთან პირველი კომუნიკაციისთანავე, ხოლო თუ დაგეგმილია მონაცემთა გამჟღავნება, – მონაცემთა გამჟღავნებამდე, მაგრამ მონაცემთა მოპოვებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუკი არ არსებობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის საფუძვლები.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არ წარმოიშობა თუ:
 - ა) მონაცემთა სუბიექტი უკვე ფლობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას;

ბ) მონაცემთა შეგროვება ან გამუღავნება დადგენილია კანონით ან საჭიროა საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;

გ) ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია ან მოითხოვს არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას ან ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ან შეუძლებელს გახდის მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნის (მიზნების) შესრულებას. ამ შემთხვევებში ორგანიზაციის სტრუქტურულმა ერთეულმა, რომელიც აგროვებს ინფორმაციას, უნდა მიიღოს სათანადო ზომები მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, მათ შორის, მონაცემების მოპოვების შესახებ ზოგადი ინფორმაციის საჯაროდ/ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით განთავსებით.

მუხლი 25. მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი, როგორც ალტერნატიული მიდგომის არჩევამდე ავტომატურად გამოყენებული საწყისი მეთოდი ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნისას

1. ახალი ტექნოლოგიების, განხორციელების ხარჯების, დამუშავების ხასიათის, მასშტაბის, კონტექსტისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მოსალოდნელი რისკებისა და მონაცემთა დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით, ორგანიზაციის სტრუქტურულმა ერთეულმა როგორც დამუშავების საშუალებების განსაზღვრის, ისე უშუალოდ დამუშავების პროცესში უნდა მიიღოს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები (მათ შორის, ფსევდონიმიზაცია ან/და სხვა). ამ ზომებმა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავების პრინციპების ეფექტიანი იმპლემენტაცია და მონაცემთა დამუშავების პროცესში დაცვის მექანიზმების ინტეგრირება მონაცემთა სუბიექტის უფლებების დასაცავად.

2. ორგანიზაციის სტრუქტურულმა ერთეულმა მონაცემთა რაოდენობის, მონაცემთა დამუშავების მასშტაბის, შენახვის ვადებისა და მონაცემებზე წვდომის განსაზღვრისას უნდა უზრუნველყოს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღება, რომ ავტომატურად დამუშავდეს მონაცემების მხოლოდ ის მოცულობა, რომელიც აუცილებელია დამუშავების კონკრეტული მიზნისთვის. ეს ზომები იმგვარად უნდა გამოიყენებოდეს, რომ ნებადართული ალტერნატიული მიდგომის არჩევამდე პირთა განუსაზღვრელი წრისთვის ავტომატურად უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა მხოლოდ მინიმალურ მოცულობაზე წვდომა.

მუხლი 26. მონაცემთა უსაფრთხოება

1. ორგანიზაციაში დასაქმებული პირი ვალდებულია მიიღოს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამუშავების უზრუნველსაყოფად.

2. ორგანიზაციაში დასაქმებული პირი ვალდებულია მიიღოს მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანამდევი საფრთხეების შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები (მათ შორის, მონაცემთა ფსევდონიმიზაცია, მონაცემებზე წვდომის აღრიცხვა, ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმები (კონფიდენციალურობა, მთლიანობა, ხელმისაწვდომობა) და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას მონაცემთა დაკარგვისგან, უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის, განადგურებისგან, წაშლისგან, შეცვლისგან, გამუღავნებისგან ან გამოყენებისგან.

3. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების განსაზღვრისას ორგანიზაციაში დასაქმებული პირი ვალდებულია გაითვალისწინოს მონაცემთა კატეგორიები, მოცულობა, მონაცემთა დამუშავების მიზანი, ფორმა, საშუალებები და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის შესაძლო საფრთხეები, აგრეთვე პერიოდულად შეაფასოს მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების ეფექტიანობა და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად ადგევატური ზომების მიღება ან/და არსებულის განახლება.

4. ორგანიზაციის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში ან რომელსაც აქვს მონაცემებზე წვდომა, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება და კონფიდენციალურობა, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

5. ორგანიზაციაში დასაქმებულ პირს ეკრძალება:

- ა) სამსახურებრივი ფუნქციის შედეგად მიღებული მონაცემის სხვა პირისთვის ზეპირი, წერილობითი ან სხვა ფორმით გადაცემა თუ არ არსებობს ამ დებულებით გათვალისწინებული საფუძველი;
- ბ) მონაცემის ორგანიზაციის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ შენახვა ან მონაცემის ორგანიზაციაში განკუთვნილი ადგილის გარდა სხვაგან შენახვა;
- გ) მონაცემის ორგანიზაციის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გატანა თუ ეს არ არის დაკავშირებული მის ფუნქცია-მოვალეობებთან;
- დ) მონაცემის შემცველი დოკუმენტის, ინფორმაციის გამრავლება/სკანირება, თუ ეს არ არის დაკავშირებული მის ფუნქცია-მოვალეობებთან;
- ე) იმ მატერიალური საცავის გასაღების/კოდის/ბარათის გამრავლება, სხვა პირისთვის ნებისმიერი ფორმით გადაცემა, რომელშიც ინახება მონაცემები;
- ვ) იმ მატერიალური საცავის ღია, სხვისთვის ხელმისაწვდომ მდგომარეობაში დატოვება, რომელშიც ინახება მონაცემები;
- ზ) იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც არ არის დაკავშირებული მის ფუნქცია-მოვალეობებთან.

- თ) ორგანიზაციის ციფრულ პლატფორმებზე შესვლის მონაცემების სხვა პირისთვის ზეპირი, წერილობითი ან სხვა ფორმით გადაცემა;
- ი) ორგანიზაციის ცხელ ხაზზე, სამსახურებრივ მეილზე ან მომხმარებლისგან პირდაპირ რეკიმში (ჩათში ან შეხვედრაზე) მიღებული მონაცემის შენახვა, გავრცელება, გამრავლება, წაშლა, განადგურება, ნებისმიერი სხვა პირისთვის გადაცემა, გარდა აუდიომონიტორინგის წესით გათვალისწინებული შემთხვევისა.
6. ორგანიზაციაში არსებული ყველა მატერიალური საცავი განთავსებულია დაკეტილ მდგომარეობაში, რომელზეც წვდომა აქვს შესაბამის დასაქმებულ პირს სამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით.
7. ორგანიზაციაში ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება (მათ შორის, ინციდენტების შესახებ, მონაცემთა შეგროვების, შეცვლის, მათზე წვდომის, მათი გამჟღავნების (გადაცემის), დაკავშირებისა და წაშლის თაობაზე ინფორმაციის) აღირიცხება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დადგენილი წესით.
8. ორგანიზაციაში არაელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების დამუშავებისას მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება (მათ შორის, ინციდენტების შესახებ ინფორმაციის) აღირიცხება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დადგენილი წესით.
9. მონაცემებზე თანამშრომელთა წვდომის ფარგლები განისაზღვრება მათი უფლებამოსილებების შესაბამისად ფუნქცია-მოვალეობების აღწერით, რომელიც მტკიცდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
10. ორგანიზაციის ციფრული პლატფორმები, სადაც განთავსებულია/შენახულია/მუშავდება მონაცემები დაცულია ლიცენზირებული, პერიოდულად განახლებადი პროგრამული უსაფრთხოების სისტემებით, რომელსაც მართავს შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტი.

მუხლი 27. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინება

მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დადგენილი ფორმით.

მუხლი 28. ინციდენტზე რეაგირების წესი

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმები, ინციდენტის შეტყობინებაზე

პასუხისმგებელი პირი, ინციდენტის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა და მონაცემთა სუბიექტისთვის შეტყობინების წესები და პროცედურები განისაზღვრება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

მუხლი 29. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება

1. ორგანიზაციაში მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება განხორციელდება, როდესაც:
 - ა) მონაცემთა დამუშავებისას ახალი ტექნოლოგიების, მონაცემთა კატეგორიის, მოცულობის, მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით იქმნება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხე;
 - ბ) მონაცემთა სუბიექტისთვის სამართლებრივი, ფინანსური ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის შედეგის მქონე გადაწყვეტილებაა მიიღება სრულად ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე;
 - ბ) მუშავდება დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები;
2. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასებისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით ამზადებს დოკუმენტს, რომელიც შეიცავს:
 - ა) მონაცემთა კატეგორიის, მათი დამუშავების მიზნების, პროპორციულობის, პროცესისა და საფუძვლების აღწერას;
 - ბ) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის შესაძლო საფრთხეების შეფასებას და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების აღწერას.
3. თუ განხორციელდება მონაცემთა დამუშავების პროცესის არსებითი ცვლილება, უნდა განახლდეს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი ინახება მონაცემთა დამუშავების მთელი პერიოდის განმავლობაში, ხოლო მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის შემთხვევაში – არანაკლებ 1 წლის ვადით.
4. თუ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შედეგად გამოვლინდება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის მაღალი საფრთხე, ორგანიზაცია მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას საფრთხეების არსებითად შესამცირებლად და, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის მიზნით მიმართავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. თუ დაამატებითი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომებით შეუძლებელია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხის არსებითად შემცირება, მონაცემთა დამუშავება არ განხორციელდება.

მუხლი 30. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უზრუნველყოფს:

- ა) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, ორგანიზაციის თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას;
- ბ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას, აგრეთვე ორგანიზაციის, მისი თანამშრომლების მიერ საქართველოს კანონმდებლობის, ამ დებულებისა და სხვა შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს;
- გ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;
- დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციების მიღებას, ორგანიზაციის წარმომადგენლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენას და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს;
- ე) მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
- ვ) ორგანიზაციაში მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სასწავლო პროგრამების განხორციელებას, სხვა ფუნქციების შესრულებას.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ანგარიშვალდებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელის წინაშე.

3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი სათანადოდ არის ჩართული მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იგი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსებითა და ინფორმაციით.

4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი საკუთარ საქმიანობაში დამოუკიდებელი და ხელშეუვალია.

5. ორგანიზაციის თანამშრომელი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საქმიანობის შეუფერხებლად და უწყვეტად განხორციელება.
- ბ) უზრუნველყოს ნებისმიერ დროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მოთხოვნით, მისი დაშვება ორგანიზაციის მოძრავ და უძრავ ქონებაზე, მონაცემთა ბაზებსა და სისტემებზე, მატერიალურ საცავებზე, საქმისწარმოების მატერიალურ და ელექტრონულ ინფორმაციაზე,

პერსონალისა და მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დამუშავების სისტემებზე, აუდიომონოტირინგის, ვიდეომონიტორინგის, პროფაილინგის და ნებისმიერი სხვა ტიპის მექანიზმებზე, რომლითაც ხდება მონაცემთა დამუშავება;

- გ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს დაუყოვნებლივ შეატყობინოს ნებისმიერი ინციდენტი, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გულისხმობს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევას, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამუღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას;
- დ) შესარულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის წერილობითი მითითებები, რეკომენდაციები და დასკვნები;
- ე) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს დაუყოვნებლივ წარუდგინოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებები და საჩივრები;
- ვ) არ შეაფერხოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საქმიანობა მის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგის მიმართულებით.

მუხლი 31. მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა

1. მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა დასაშვებია, თუ დაკავშირდებულია მონაცემთა დამუშავების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სათანადო გარანტიები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გარდა, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა დასაშვებია, თუ:
 - ა) მონაცემთა გადაცემა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით;
 - ბ) უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები ინგლის სახელმწიფოს, ასეთი სახელმწიფოს სათანადო საჯარო დაწესებულებას, იურიდიულ პირს ან ფიზიკურ პირს ან საერთაშორისო ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით; მონაცემთა გადაცემის შესახებ შეთანხმება/ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს სავალდებულო სამართლებრივი ძალის მქონე შესასრულებელ პირობებს.
 - გ) შესაბამის სახელმწიფოში მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არარსებობისა და შესაძლო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ მონაცემთა სუბიექტი აცხადებს წერილობით თანხმობას;

- დ) მონაცემთა გადაცემა აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს;
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მონაცემთა გადაცემა შეიძლება მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ნებართვის მიღების შემდეგ.

მუხლი 32. მზა-ჩანაწერების პოლიტიკა

1. ორგანიზაციის ვებგვერდი იყენებს „პირველი მხარის მზა-ჩანაწერებს“, რომლებიც აუცილებელია ვებგვერდის მხრიდან მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი მომსახურების შეთავაზებისთვის.
2. „პირველი მხარის მზა-ჩანაწერები“ არის ისეთი ტიპის "მზა-ჩანაწერები", რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ორგანიზაციის ვებსერვერის მიერ, არ გადაეცემა მესამე მხარეს.
3. ორგანიზაციის ვებგვერდი იყენებს „მესამე მხარის მზა-ჩანაწერებს“, რომლებიც ამარტივებს ვებგვერდზე მუშაობას ან გამოიყენება ვებგვერდის მომხმარებელთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების მისაღებად.
4. ორგანიზაციის ვებგვერდზე გამოიყენება შემდეგი „მზა -ჩანაწერები“ (Cookies):
 - ა) მომხმარებლის მიერ შესავსები ფორმები დაცულია კაფჩათი
 - ბ) გამოიყენება https, ყველა http მოთხოვნის რედირექტი ხდება https-ზე და აგრეთვე იზღუდება http მეთოდები
 - გ) გამოიყენება XSS Protection ჰიდერები
 - დ) აგრეთვე იზღუდება CORS, არაავტორიზებული cross-origin რექვესტებისგან თავის დასაცავად
 - ე) Google Analytic-ის მომხმარებლის შიდა იდენტიფიკატორი;
 - ვ) Google Analytic-ის მოთხოვნის დრო;
 - ზ) Google Analytic-ის მომხმარებლის დროებითი იდენტიფიკატორი;
 - თ) Google-ის სხვა „მზა-ჩანაწერები“ - Google-ის სხვა „მზა-ჩანაწერები“ (PREF_VISITOR_INFO1_LIVE, VISITOR_PRIVACY_METADATA, YSC);
 - ი) ადაპტირებული ფუნქციონალის „მზა-ჩანაწერები“ (შრიფტის ზომა და კონტრასტი);

დირექტორი :



/ლ. ივანიშვილი/